მომსახურების ხელშეკრულება N12

სოფ. ბიწმენდი 24.10. 2013წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინელი მამულაშვილის სახით ერთის მხრივ და ნიკოლოზ მამულაშვილი პ/ნ(31001048606) მეორეს მხრივ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით-შეშის დამზადება საღუმელად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება შეადგენს 260 ლარს

2. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. დამკვეთი შემსრულებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღირებულებას გადაუხდის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვეთი ვალდებულია:

1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო სამუშაო იარაღი.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2. დამკვეთი უფლებამოსილია:

2.1. მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ბარისხიანი შესრულება;

3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია:

4.1. მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედება

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან 2013 წლის 30 დეკემბრამდე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო.

1.2. მხარეების ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს შეთანხმებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

2. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

დამკვეთი:	შემსრულებელი:
ს.ს.ი.პ. - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ - ბიწმენდის---------- საჯარო სკოლა მის.: მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბიწმენდი ტელ.: 577 54 48 29 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი" ს/კ 236087694 ბანკის კოდი /LBRTGE22 ა/ა GE97LBO121110416361000 დირექტორი (ხელმოწერა)	სახელი გვარი ნიკოლოზ მამულაშვილი მისამართი მცხეთის რ-ნი სოფ. ბიწმენდი საბანკო რეკვიზიტები:ს/ს"ლიბერთი ბანკი" ს/კ 236087694 ბანკის კოდი /LBRTGE22 ა/ა GE97LBO121110416361000 დირექტორი: (ხელმოწერა)